# ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული"

2017 წელი 21 დეკემბერი № 12 № 8129






გილოცავთ ახალ წელს!


ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com




## გილოცავთ!

ძვირფასო თანამემამულეებო!

ყოველი ახალი წელი გვაახლოვებს საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებასთან - ოცნებასთან, რომელიც მხოლოდ ჰაეროვანი, თავდადებული შრომითა და სამშობლოსადმი ერთგულებით იქცევა სასურველ რეალობად.

ღმერთმა ინებოს, ყველა ოჯახში დამკვიდრდეს კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა.

მშვიდობიანი, ბედნიერი ახალი წელი დაგვდგომოდეს. დღეგრძელობა, წარმატებები, სიკეთე და იღბალი ყოფილიყოს ჩვენი მეგზური.

ბედნიერი შობა-ახალი წელი გაათენებოდეს ჩვენს საფიცარ მამულს, ჩვენს ოჯახებს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ!

**მანუჩარ მერებაშვილი,**
**კასპის მუნიციპალიტეტის მერი.**

### გილოცავთ დამდეგ, ახალ 2018 წელს!



გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, კეთილდღეობის და წარმატებების წელი ყოფილიყოს 2018 წელი ყველა თქვენგანისთვის, თქვენი ძვირფასი ოჯახებისთვის და თქვენი საყვარელი სამშობლოსთვის!

**ირაკლი მეზურნიშვილი,**
**საქართველოს პარლამენტის წევრი,**
**კასპის მაჟორიტარი დეპუტატი.**

ბატონებო და ქალბატონებო!

ყოველი ახალი წელი ტრადიციულად უკეთესის მოლოდინით იწყება, ძველი და ახალი წლის გასაყარი ერთგვარი გზაჯვარედინია განხორციელებული თუ სამომავლო გეგმებისთვის. დაე, ახალი წელი იყოს ყველას სასურველი ოცნების ახდენის - განხორციელების ათვლის წერტილი.

გილოცავთ დამდეგ 2018 წლის მობრძანებას, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და წინსვლას. მშვიდობიანი, ბედნიერი ახალი წელი გაგვითენებოდეს ჩვენ და სრულიად საქართველოს.

ბედნიერი შობა-ახალი წელი შემობრძანდეს ჩვენს მამულში!

**დავით ლეონიძე,**
**კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

## მუნიციპალური შესაძლებლობის განვითარების პროექტი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების შესახებ ტრენინგი გაიმართა, რომელსაც თამარ ხოშტარია უძღვებოდა (სივრცითი დაგეგმვა).

პროექტი მოიცავს შემდეგ სფეროებს:

სივრცითი დაგეგმვა:

აღნიშნული გულისხმობს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიწის გამოყენება, როგორ იგეგმება მიწათსარგებლობის ცვლილებები და ასევე, როგორ შეუძლია დაგეგმარებას ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

აქტივების მართვა:

აღნიშნულში იგულისხმება მუნიციპალიტეტის მფლო-



ბელობაში არსებული ყველა შენობის/ქონების და სხვა მსხვილი აქტივების (როგორიცაა დანადგარები და მანქანები) დადგენა, რეგისტრაცია და აღრიცხვა მუნიციპალიტეტების მიერ. ამას მოჰყვება აღნიშნული აქტივების სწორი ექსპლუატაციისთვის, გაუმჯობესებისთვის ან ჩანაცვლებისთვის საჭირო გეგმების შემუშავების საკითხი.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა:

აღნიშნული გულისხმობს თუ როგორ ადგენს მუნიციპალიტეტი ინვესტიციის წყაროს და როგორ სახავს გეგმებს ყველაზე ხელსაყრელი არჩევანის გასაკეთებლად ახალ აქტივებში ინვესტირებისთვის.

მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF), "რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის" ფარგლებში, ახდენს ინვესტირებას ადგილობრივი თვითმმართველობების საინჟინრო - ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში. ამავე პროექტის ფარგლებში უწევენ საკონსულტაციო მხარდაჭერას ადგილობრივი თვითმმართველობების გასაძლიერებლად და მათი საკუთარი შესაძლებლობების განსავითარებლად.

პროექტს აფინანსებს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და მსოფლიო ბანკი. პროექტი ხორციელდება ნიდერლანდური კომპანია "Ecorys"-ის მიერ PMCG-სა და "GeoCraphic"-თან (ქართული კომპანიები) თანამშრომლობით.

## ბავშვების და მოზარდების უფასო სამედიცინო გამოკვლევები



სოფელ ლამისყანის ამბულატორიაში, საქართველოს პარლამენტის წევრის, კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის ინიციატივით ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის (BAC) წამყვანმა სპეციალისტებმა, ბავშვებს და



მოზარდებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 15 მოზარდი ოპერაციას საჭიროებს.

## ტრენინგი ნარჩენების მართვის შესახებ

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო (ფაზა III)"-ს ფარგლებში ტრენინგი გაიმართა.

საქართველოში ნარჩენების მართვის, საკანონმდებლო მოთხოვნების, მართვის დაგეგმვის, ნარჩენების მართვის საერთაშორისო ვალდებულებების და ევროპულ გამოცდილებაზე - გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ნარჩენების მართვის ექსპერტმა ხათუნა ჩიკვილაძემ ისაუბრა.

საქართველოში არსებული სტიქიური



ნაგავსაყრელების გავლენის შეფასების, მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობის, ზოგიერთი მძიმე მეტალის ტოქსიკურობასა და ადამიანების ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების მიმოხილვა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, გარემოს მონიტორინგის ექსპერტმა ნუგზარ ბუაჩიძემ წარმოადგინა. ტრენინგი ნაწილობრივ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

პროექტს ახორციელებს საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისი", "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო" და "ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვა."

გამოიწერეთ "ახალი განთიადი"
გახდით ჩვენი მკითხველი!

# საქველმოქმედო სპექტაკლი „ჰელადოს"

კასპის კულტურის ცენტრში, თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის მოზარდთა თეატრ "თეატრალი-"ს მიერ საქველმოქმედო სპექტაკლი „ჰელადოსი" გაიმართა.

სპექტაკლი, რომელიც ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვითაა დადგმული კასპის





მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალაში მცხოვრები, 3 წლის ზაქარია შიუკაშვილის ჯანმრთელობის დასახმარებლად გაიმართა. შემოსული თანხა სრულად მოხმარდება პატარა ზაქარია შიუკაშვილის მკურნალობას. სხვათა შორის სპექტაკლს ზაქარია თავადაც ესწრებოდა... მადლობა ინიციატორებს, მსახიობებს და ყველას ვინც 3 წლის ზაქარიას მხარდაჭერა გამოუცხადა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მოზარდთა თეატრ "თეატრალს" მადლობის სიგელი გადაეცა.

# ორი სოფელი სასმელ წყალს მიიღებს



სოფელ საქადაგიანოში - სვანების ქვედა დასახლებაში სასმელი წყლის მოწყობის, სოფელ ხიდისყურის მაგისტრალის და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარე თვეში დასრულდება.

უკვე დასრულებულია 3 500 გრძივი მეტრი მაგისტრალის და 5 000 გრძივი მეტრი შიდა დაქსელვის სამუშაოები, სატუმბო სადგურის და საქლორატოროს მშენებლობა, გამრიცხველიანდა 114 ოჯახი.

დაფინანსების წყარო ცენტრალური (95%) და ადგილობრივი ბიუჯეტია (5%), სამუშაოების ღირებულება, რომელსაც შპს "ფუძე" ახორციელებს 307 000 ლარია.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ორი სოფელი სასმელ წყალს მიიღებს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.



# თამადის ინსტიტუტი ქართულ ეთნოკულტურულ ქრილოში

"სტუმარი ღვთისაა." — ქართველთათვის ლამის მეთერთმეტე მცნებაა და ერთიან სოციალურ ცნობიერებაში ისეა დამკვიდრებული, როგორც გამორჩეულად წმინდა, საკრალური ფენომენი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სტუმრობა უფლის მოსვლასთან არის გაიგივებული. ქართულ ფოლკლორში მრავლადაა ზღაპარი თუ პოეტური ნაწარმოები, როცა უცხო, უცნობი ადამიანის მოულოდნელი ვიზიტი ერთგვარ გამოცდა - განსაცდელად იქცევა ხოლმე მასპინძლისათვის, რადგან შემდეგ გაირკვევა, რომ ის, ვისაც კარგად ან ცუდად დაუხვდნენ, თავად უფალი იყო, სახეშეცვლილი. მასპინძელს ღმერთი გამოეცხადა, რათა განსაზღვრულიყო მისი მორალურ- ეთიკური სახე და ამ ერთ, თითქოს უბრალო შემთხვევაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება მთელი მისი შემდგომი ცხოვრება.

რაკი ქართველი სტუმრის არსში ღვთაებრივ ნაწილს ხედავს, ამიტომ, მის დასახვედრად ყოველთვის გულის ძახილით, განსაკუთრებული არტისტული მონდომებით, რიტუალურად ირჯება — საუკეთესო ადგილი სუფრასთან სტუმრის ხვედრია, საუკეთესო კერძს მას მიართმევენ, სტუმარსვე ეკუთვნის გამორჩეული საწოლი და ძვირფასი ქვეშაგები, თუ იგი ღამის გასათევად დარჩენას ინებებს.. ქართველთათვის დამახასიათებელი ვრცელი და ხანგრძლივი ნადიმების არსში არა მხოლოდ მოლხენისა და განტვირთვისაკენ მისწრაფება, არამედ, უპირველესად სტუმრის სიყვარული და მისთვის თავის მოწონების გაცნობიერებული სურვილი უნდა დავინახოთ.



სუფრაზე, ნადიმის დროს, სტუმართან ურთიერთობის წარმართვა, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, მუდამ დღესასწაულისა და კეთილგანწყობის სულისკვეთებით ხდებოდა. თანდათანობით იხვეწებოდა სუფრის წინამძღოლის, წარმმართველი ფუნქციის მატარებელი ადამიანის ფენომენი, რომელსაც, სავარაუდოდ, XIX საუკუნის დასაწყისში თამადა უწოდეს.

თავად ფენომენი არქაულია თუ არა, ამაზე მეცნიერებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა აქვთ. თუმცა, წარმართულ ეპოქაში, როცა ნადიმი ბახუსისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალების ნაწილი იყო, მას აუცილებლად სჭირდებოდა ალმასრულებელი, განმკარგავი, ამ საქმეში დახელოვნებული, გრძნეული პიროვნება, რომელიც ერთგვარი მეკავშირე იყო წარმართულ ღვთაებასა და ადამიანებს, ცასა და მიწას შორის. იგი, გარკვეულწილად, ქურუმის ფუნქციას ასრულებდა, და, შესაძლოა, სწორედ ის იყო თამადის პროტოწინაპარი. თამადისა, რომელიც დღესაც ქართველთა ცხოვრების წესის ეგზომ განუყოფელი ნაწილია.

ქრისტიანულ საქართველოში თამადას, უპირველესად, სუფრაზე ზნეობრივი კანონების დამცველის როლი დაეკისრა და, რა, თქმა უნდა, შენარჩუნებული აქვს ზეციერ და მატერიალურ სამყაროებს შორის არაცნობიერი კავშირი — იგი წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით თითქმის იგივეა, რაც ლოცვა. მისი უმთავრესი სიტყვა — გაგიმარჯოს ან გაუმარჯოს

გაგრძელება მე-9 გვ.

## განათლება

# მასწავლებლობამ ცხოვრება მასწავლა

"უჯრედის გაყოფის ხერხი" ანუ როგორ გაიყოფიან სომატური უჯრედები

**მერი (მარიამ) ჭონქაძე-პატენკო დოესის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი:**

- სამიოდე წელიწადში 50 წელი შესრულდება, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი და ხომ ხვდებით, რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, ბევრი, ძალიან ბევრია სათქმელი... დავიბადე და გავიზარდე დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილში, სკოლაში კარგად ვსწავლობდი, წარჩინებით დავამთავრე ვაჟა-ფშაველას სახელობის დუშეთის პირველი საშუალო სკოლა, ძალიან მიყვარდა საბუნებისმეტყველო საგნები... სწორედ ამ განხრით გავაგრძელე სწავლა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მივიღე გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ჩემი პედაგოგიური ნათლობა დოესის საშუალო სკოლაში შედგა, ვინაიდან სწორედ იმ ხანად შევქმენი ოჯახი, დიახ, ჩემი ბედი სამუდამოდ დავუკავშირე დოესელ ახალგაზრდას, ღირსეულ ადამიანს, საქართველოში საკმაოდ ცნობილ სპორტსმენს ვოვა პატენკოს, ქალ-ვაჟიც შეგვეძინა, ზაზა და თამარი... თითქოს ყველაფერი დალაგდა კიდეც, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, ოჯახური პირობების გამო ისევ მშობლიურ დუშეთში მომიხდა დაბრუნება და ბუნებრივია, სამსახურიც შევიცვალე, ჯერ მასწავლებელი ვიყავი, მერე დირექტორის მოადგილედ დამნიშნეს კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში. დუშეთში რამდენიმეწლიანი ცხოვრებისა და მუშაობის შემდეგ, 1994 წელს ისევ დოესის სკოლაში დავბრუნდი, ჯერ ბიოლოგიას ვასწავლიდი, მერე კი, დირექტორის მოადგილედ დამნიშნეს, ასე რომ, 1998 წლიდან 2010 წლამდე ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი და წარმატებულადაც, ცალსახად

დასასრული მე-4 გვ.

# "მოვხატეთ ტაძარი ძმებო"

**უშანგი მოსიაშვილისგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გავიგეთ, რომ ტაძრის აშენებას აპირებდა. ეს იმდენად სასურველი წამოწყება იყო, იმ ტაძრის ეზოში ადგილობრივ გამოჩენილ კასპელთა პანთეონის გამართვაც კი გვინდოდა, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, მშენებლობა არ შედგა ...**

**მერე ცხოვრება თავისი დინებით წავიდა და როგორც ყველა სასურველი, კეთილი და ფასეული წამოწყება დროშ საჩვენოდ მოაბრუნა - კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის სამრეკლოს იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ბაზილიკა უშანგი მოსიაშვილმა ააშენა და სადაცაა მოხატვის სამუშაოებიც დასრულდება.**







მოქანდაკე-ხატმწერი და ფერმწერ-რესტავრატორი ლარიაშვილებისა და სარჯველაძეების, ოჯახურ-პროფესიული დინასტია კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის სამრეკლოს იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ბაზილიკის მოხატვის სამუშაოებს აწარმოებს.

მოხატვას ხელმძღვანელობს ცნობილი მოქანდაკე-ხატმწერი, აკადემიკოსი გიორგი ლარიაშვილი. ამჯერზე კასპში მას მხარში უდგანან ქალიშვილი ხატია და სიძე არჩილ სარჯველაძე - სამხატვრო აკადემიის 2007 წლის კურსდამთავრებული ფერმწერ-რესტავრატორები. ახალგაზრდების ოჯახურმა წყვილმა 2011 წელს ერთობლივად, დამოუკიდებლად, მოხატა სეუ-ს (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის) კორპუსში მოწყობილი სამლოცველო, რომელიც დაამშვენეს ორნამენტებითა და წმინდა მამების - ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ხანძთელის, პეტრესა და პავლეს ხატების გამოსახულებებით.

კასპური პროექტი მათთვის დიდი გამოცდილების სკოლაა შემდგომი პროფესიული დაოსტატების გზაზე, მით უფრო ყველაზე ახლობელი მაესტროს ხელდასმით. მეუღლეებს რამდენიმე ჯგუფური გამოფენა ჰქონდათ სამხატვრო აკადემიაში, ასევე - ერთობლივი, სახელწოდებით "მუსიკისა და ხატვის სინთეზი." ხატიამ რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაზე წარადგინა ენკაუსტიკის ცვილის (სანთლის) საღებავებით შესრულებული ნამუშევრები.

არჩილი კასპში იმ მომენტში გადავიღეთ, როცა ბაზილიკის კედელზე ხატავდა "ქრისტეს იერუსალიმში შესვლის" სცენას. საინტერესოა, რომ იგი გახლავთ 2005 წლიდან საქართველოში მოქმედი მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი "ბაზიერის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

ბატონი გიორგი ლარიაშვილი გახლავთ მხატვართა ოჯახის თავკაცი. საქმე ისაა, რომ მისი მეუღლეც ფერმწერია - ქალბატონი თამარ შონია, აგერ, 32 წელია, რაც თბილისის 137-ე საჯარო სკოლაში ხელოვნების პედაგოგია.

ბაზილიკის მოხატვის დასრულების შემდეგ ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ხატწერის ქრონოლოგიას.

## განათლება

# მასწავლებლობამ ცხოვრება მასწავლა

**"უჯრედის გაყოფის ხერხი" ანუ როგორ გაიყოფიან სომატური უჯრედები**



დასასრული.

შეიძლება იმის თქმა, რომ მასწავლებლობამ ბევრი რამ შემძინა, მეტიც, ცხოვრება მასწავლა; პროფესიონალიზმიც ძალიან დამეხმარა, დიახ, საგნის საფუძვლიანმა ცოდნამ ბევრი რამ გამიადვილა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მასწავლებლის პროფესია შეუდარებელია, ამავე დროს, ძალიან საპასუხისმგებლო...

ამ რამდენიმე ხნის წინ, როგორც კი შემისრულდა საპენსიო ასაკი, უყოყმანოდ დავტოვე მოადგილის თანამდებობა, მასწავლებლობა ვამჯობინე ყველაფერს. ყოველნაირად ვცდილობ, რომ ბავშვებს შევაყვარო ჩემი საგანი...

დრო შეიცვალა. სისტემატურად ვეცნობი განათლების სფეროში დანერგილ სიახლეებს და ვცდილობ არ ჩამოვრჩე დროს. ყურადღებით ვადევნებ თვალს ნებისმიერ სიახლეს... არადა, ბევრი სასიკეთო ძვრებია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, დასახვეწად. მაგალითად, ბიოლოგიაში ძირფესვიანად შეიცვალა გაკვეთილის ჩატარების სტრუქტურა... ვგრძნობ, რომ ამით მოსწავლეებს კიდევ უფრო ჩამოუყალიბდებათ, განუვითარდებათ ანალიტიკური აზროვნების უნარი.

კარგა ხანია მოქმედებს მილენიუმის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა გადამზადებას. ამიტომაც არის, რომ უინტერესოდ არ ვტოვებ არც ერთ ტრენინგს... სულ ახლახან ჩატარებულ ერთ-ერთი ტრენინგის დროს კონკრეტული დავალებაც მოგვცეს და მართალი გითხრათ, პრაქტიკული მეცადინეობის თემა "უჯრედის გაყოფის ხერხი", უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თუ როგორ იყოფიან სხეულის ანუ სომატური უჯრედები, მე თავად შევარჩიე...

ამდენად, დავნიშნეთ სრულიად განსხვავებული, ეგრეთ წოდებული სტრუქტურული გაკვეთილის თარიღიც. მუშაობა იყო ჯგუფური და თქვენ წარმოიდგინეთ, მეცადინეობისათვის რესურსები /ფერადი ძაფები და ქაღალდები, პლასტილინი და ყველა სხვა საჭირო მასალა/ ბავშვებმა თვითონ მოიმარაგეს. ზოგმა ძაფები გამოიყენა, ზოგმა ქაღალდი, ზოგმაც პლასტილინი და ამის დახმარებით შეძლეს მიტოზის ფაზების /სულ ოთხი ფაზა არსებობს/ შექმნა. ერთი სიტყვით, 45 წუთიან გაკვეთილზე მოსწავლეებმა ხალისით, თითქოს თამაშ-თამაშით მოახერხეს დავალების შესრულება, თანაც ისე, რომ ეს სტრუქტურული გაკვეთილი მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული გაკვეთილების დანერგვა სკოლებში ნამდვილად დიდი პროგრესი გახლავთ. ერთი რამის დანანებით თქმა კი, მომიწევს - საქმე ის გახლავთ, რომ უკვე წლებია სკოლებს არ ელირსა ბიოლოგიის საგნის ნორმალური სახელმძღვანელო. და კიდევ, ბიოლოგიის საგნის სრულყოფილი სწავლებისათვის სკოლაში აუცილებელია თანამედროვე აღჭურვილობის კლასკაბინეტი, რაზეც ჩვენ ჯერჯერობით არ მიგვიწვდება ხელი...

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იმედიანად ვარ, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანში, ალბათ მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვა და დახვეწა, გამდიდრება, რადგან დრო აღარ ითმენს, უნდა მოგვარდეს სახელმძღვანელოების /არა მარტო ბიოლოგიის საგნის/ საკითხიც, მომავალი თაობა, რომელიც უნდა "დაუპირისპირდეს" XXI საუკუნის გამოწვევებს, უნდა აღიჭურვოს მყარი, საფუძვლიანი ცოდნითა და ნათელი გონებით... დასასრულს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დამდეგი 2018 წელი მივულოცო ჩემი სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებს, პედაგოგიურ კოლექტივს და არა მხოლოდ მათ მთელ რაიონს ვუსურვო ბედნიერი მომავალი, სიხარული, წარმატებები სწავლასა და შრომაში.

საუბარი ჩაიწერა რუსუდან ხეჩუაშვილმა.

# „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო„

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს„...



ორბელიანთა სასახლე

კვირას, 3 დეკემბერს ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომლის ორგანიზატორი გახლდათ მუზეუმის დირექტორი სოფიო ფავლენიშვილი. ეს



იყო ერთგვარი ლიტერატურულ-შემეცნებითი ღონისძიება, რომელსაც როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ბევრი სტუმარი ესწრებოდა. სხვათა შორის, უნდა აღინიშ-



ორბელიანთა სასახლის დარბაზში სადილობისას

ნოს ის გარემოება, რომ სესიაზე სპეციალურად მოწვეულ სტუმართა და პედაგოგთა შორის იყვნენ ლამისყანის საჯარო სკოლის მოხალისე მოსწავლეები: ავთანდილ ბეინაშვილი, მარიამ ბეინაშვილი, დავით ბეინაშვილი, დემეტრე რაზმაძე, ქეთევან გიგაური, გაგა ოსიშვილი, დალი ცუცუნაშვილი, ნინო ჯამრიშვილი, ანი ჯამრიშვილი, თაკო ჭიხინაშვილი, ნინო ოსიშვილი, გიგი ჭიხინაშვილი, ვანო ჭიხინაშვილი, ნიკა პაიაშვილი. აი, სწორედ ამ ახალგაზრდების დიდი მონდომებითა და უშუალო მონაწილეობით დაიდგა იმპროვიზებული ლიტერატურული წარმოდგენა / მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მოსწავლეებს/ სახელწოდებით "ქსნის ერისთავთა ასულები და რძლები ქართულ პოეზიაში"... ეს პატარა, მოკრძალებული პუბლიცისტურ-ლიტერატურული კვლევა იმდენად ტევადი და ამავე დროს, საინტერესოა, რომ მარტო პოეზიის მოყვარულებსა და ისტორიკოსებს კი არა, სხვებსაც დააინტერესებს.

— შარშან, ქართული პოეზიის საგანძურში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე მე-19 საუკუნის პოეტი ქალის ნინო ორბელიანის ლექსი, რომელიც ეძღვნება ჯამბაკურ ორბელიანთა სახლის ბოლო დიასახლისს, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს, — იხსენებს მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ფიქრია ხოკრიშვილი, — და სწორედ მაშინ დამებადა იდეა, რომ მომეძებნა ქსნის ხეობის ერისთავების ასულებისა და რძლებისადმი მიძღვნილი პოეზიის ნიმუშები, დამემუშავებინა თემა, რომლის განხილვაში მონაწილეობას მიიღებდა ჩვენი მუზეუმის კოლექტივი, სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, ყველაფერი როგორც დაიგეგმა, იმის მიხედვით წარიმართა და საბოლოოდ მივედით იმ კონდიციამდე, რომ მუზეუმში ამ თემაზე მოგვეწყო საჩვენებელი სამეცნიერო სესია. რასაკვირველია, ამ საქმეში ძალიან დამეხმარნენ მუზეუმის დირექტორი სოფიო ფავლენიშვილი, აგრეთვე, ჩემი თანამოაზრე კოლეგები: მაია და თეონა ბეინაშვილები.

არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართულ მწერლობასა და პოეზიაში, ზოგადად ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ქს-



ელენე ერისთავი

ნის ერისთავების ასულებსა და რძლებს, როგორც პოეტებს და როგორც პოეტთა და ხელოვანთა მუზებს. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი კლასიკოსი მწერლების და პოეტების ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, იოსებ ნონეშვილის, ლადო



ასათიანის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა შედევრები, სადაც ასახულია ქსნის ხეობელ ბანოვანთა შესახებ... ალბათ, აღარც იმის შეხსენება სჭირდება ვინმეს, რომ სწორედ ქსნის ერისთავებთან დაახლოებულმა და დამოყვრებულმა, ქსნის ხეობელი ბანოვანების ნიჭიერებითა და განსწავლულობით "დატყვევებულმა" ნიკოლოზ ბარათაშვილმა შექმნა ისტორიული პოემა "ბედი ქართლისა", სადაც



თამარ ჯამბაკურ-ორბელიანი

უიშვიათესი პოეტური მიგნებით შეამკო ქალის სახე: "ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო"... მარტო ქართველი პოეტები და მწერლები როდი იყვნენ აღფრთოვანებული და მონუსხული ქსნისხეობელთა ბანოვანების სილამაზითა და ნიჭიერებით, ფრანგი მწერალი და სახელოვანი მოგზაური ალექსანდრე დიუმა აღტაცებას ვერ ფარავს ორბელიანთა ლამაზმანების ხილვისას — " ქსნის



თებრო ნარიშკინა

ერისთავის, თავადი დიმიტრი ორბელიანის მეუღლე ორმოციოდე წლის მანდილოსანი იქნება. ის უნდა ყო-



მანანა ორბელიანი

ფილიყო თბილისის ულამაზესი ქალი... ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონოდა"...

ანდა, რადღირს, მე-19 საუკუნის



ლუსი მარშო

ქართველ ბანოვან ქალთა გალერეაში სრულიად ღირსეულად დამკვიდრებული, სახელგანთქმულ ხელოვანთა და პოეტთა შთაგონების წყაროდ აღიარებული მანანა ორბელიანის სახე...



ნინა ორბელიანი

ქსნის ერისთავების ულამაზესი ბანოვანი მანანა ორბელიანი 15 წლის ასაკში მიათხოვეს დავით იოანეს ძე ორბელიანს. მან ქმ-



თებრო არჯევანიძე

რის გვარი მიიღო, საზოგადოებამ ორბელიანის გვარით გაიცნო და ისტორიასაც ამ გვარით შემორჩა. ის იყო მაღალი ინტელექტის მქონე ულამაზესი და უჭკვიანესი ქალი. მან დაამსხვრია ეპოქის სტერეოტიპი და ქართველი ქალის შესაძლებლობაზე სულ სხვაგვარი წარმოდგენა შეუქმნა საზოგადოებას...

 რ. ქართლელიშვილი.

# ტრილოგიის თემაზე



მკითხველი უკვე გაეცნო ბესარიონ სოლოღაშვილის ტრილოგიას "ესე ტაძარი," რომელიც ჩვენი რაიონის გამორჩეულ სამკაულსა და სიამაყეს - სამთავისის საკათედრო ტაძარს ეძღვნება.

2030 წელს ათასი წელი სრულდება სამთავისის ტაძრის მეორედ აშენების დროიდან. ისტორიული რომანი ავტორმა სწორედ ამ თარიღს მიუძღვნა.

მწერალთან შეხვედრა შედგა მიმდინარე წლის ექვს დეკემბერს, კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში. ღონისძიება გახსნეს კასპის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის თეატრალური წრის წევრებმა - მარიამ მერებაშვილმა, ანი სეხნიაშვილმა, მარი ელბაქიძემ, ელენე ავალიანმა, სალომე ნაცვალაშვილმა; მათ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს მწერლის ბიოგრაფია; გააკეთეს მისი შემოქმედების მოკლე მიმოხილვა; წაიკითხეს ბესარიონ სოლოღაშვილის ლექსები.

მწერალს მიესალმნენ: ლია სოზიაშვილი, მაია მარჯანიძე, გიორგი ჩადუნელი, კახა მამულაშვილი, ელზა ბასილიძე, მარინა დალაქიშვილი.

დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა აუდიო ჩანაწერი - ნაწყვეტები ტრილოგიიდან: ვარსკვლავთცვენა, კესანე, ბოლოთქმა.

ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა მამა გიორგი მურღული. ძალიან თბილი და საინტერესო გახლდათ თავად მწერლის, ბესარიონ სოლოღაშვილის გამოსვლები და სამადლობელი.

შეხვედრა მიჰყავდა ლია მენაბდიშვილს; ტექნიკური ოპერატორი გახლდათ მერი ბარჯაძე. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.



# სად ინახება უიშვიათესი ქართული ხალხური საკრავები

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმში ხშირად იმართება ფოლკლორული ღონისძიებები ეგიდით "შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს ქართული ფოლკლორი," რომლის მიზანია მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია და გავრცელება... სწორედ ამ თვალსაზრისით ალბათ, კვირა ისე არ გაივლის, რომ მუზეუმს არ ესტუმრონ კავთურის ხეობის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები, რომლებიც დიდი ინტერესითა და მონდომებით ეცნობიან მუზეუმში მოთავსებულ ექსპონატებს.



— ვინც ნამყოფია ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში, ალბათ ნახავდა, რომ აქ არსებობს სპეციალური კუთხე, რომელიც ინახავს უიშვიათეს ქართულ ხალხურ საკრავებს, — გვიამბობს კავთისხევის კულტურის სახლის დირექტორი, სახლთან არსებული ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნანა შალიტაური, — მოსწავლეები, ხალხური საკრავების შესწავლით დაინტერესებული ბავშვები საკუთარი თვალით ნახავენ უძველეს ხალხურ საკრავებს: სალამურს, ფანდურს, ჩონგურს, ბანის ფანდურს, დიპლიპიტოს, დაირას, გუდასტვირს, დოლს. მოკლედ, მოსწავლეები მარტო საკრავებს კი არ ნახავენ აქ, არამედ ამ ეროვნული სიმდიდრის წარმოშობის ისტორიასა და გავრცელების არეალსაც გაეცნობიან.

წინა კვირას სახლ-მუზეუმს სწორედ ამ მიზნით ესტუმრნენ კავთისხევის საჯარო სკოლის მეხუთე კლასის (დამრიგებელი დიანა ზავრადაშვილი) მოსწავლეები და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ხალხურ საკრავთა ჯგუფის მასწავლებელი ნანა შალიტაური ექსკურსიის ფარგლებში ბავშვებს ესაუბრა ქართული ფოლკლორის, როგორც ეროვნული ღირებულებების ფასდაუდებელ მნიშვნელობაზე. მან თავის პატარა ლექცია-საუბარში მოსწავლეებს გააცნო "ხალხური საკრავების მითი და ისტორია," ბოლოს მოსწავლეებთან ერთად მან შეასრულა რამდენიმე ფოლკლორული სიმღერა.

## მეცნიერის სამშობლოში

# „ხოვლის ისტორიის ეტიუდები"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ხოვლის სახლ-მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდნენ ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები... ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა სახლ-მუზეუმის დირექტორმა მარინე კოშაძემ და აღნიშნა, რომ მუზეუმის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სამეცნიერო თემებზე მუშაობაა, რომელსაც დღევანდელი სესიაც მოწმობს...



"ხოვლის ისტორიის ეტიუდები" — ასეთი გახლდათ სესიის მოხსენების თემა, რომელზეც ამომწურავად და საინტერესოდ ისაუბრა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა იოსებ ხუციშვილმა, რომელმაც თვალსაჩინოების (არქეოლოგიური ნივთების, ფოტოების) დახმარებით დამსწრე საზოგადოებას გააცნო: ხოვლეგორას არქეოლოგიური გათხრები, 2004 წელს ხოვლის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის არქეოლოგიური დეტალები, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა ჯავახიშვილის გვარის შესახებ, იმაზე, თუ როდის დასახლდნენ ისინი ხოვლეში და კიდევ სხვა ბევრ საყურადღებო ისტორიულ მოვლენაზე...



მოხსენების წაკითხვის შემდეგ მოეწყო აღნიშნული თემის კიდევ უფრო ვრცელი განხილვა. პოლემიკაში მონაწილეობდნენ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, ხოვლის საჯარო სკოლის დირექტორი ლიანა ჯალაღანიძე... სოფლის აქტივის წარმომადგენლები თამაზ ხუციშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ვახტანგ ხათაშვილი, სკოლის მოსწავლეები და სოფლის ახალგაზრდები.

სესიის მუშაობა შეაჯამა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის... სესიაზე გადაწყდა ისიც, რომ მუზეუმთან შეიქმნას "სახალხო უნივერსიტეტის" ისტორიის ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებს დაინტერესებულ პირებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტებს და ფაკულტეტი იმუშავებს ორწლიანი ციკლით, სესიები გაიმართება სამ თვეში ერთხელ.

# ქართული ჭიდაობის ღირსეული ფალავანი — გურამ თუშიშვილი!



დეკემბრის მეორე შაბათ დღეს ყველა ჩოხოსანმა ქართველმა მოჭიდავეემ წრიულ საასპარეზოზე გაარკვია 2017 წლის აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა: ფალავნობის თითქმის 90-წლიან ისტორიაში (საქართველოში პირველი ფალავნობის ტურნირი 1928 წელს გაიმართა!) იგი ახალი სახელია — გურამ თუშიშვილი. ის სადღეისოდ ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი მოჭიდავეა ჩვენში, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო წლევანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონი ძიუდოში (უძლეველი ფრანგი რინერის დამმარცხებლად შერაცხული!), ვინაც რომ ფალავნობით გაასამა 2017 წლის პირადი დიდი გამარჯვებები... და, კიდევ, ერთი ფრიად საინტერესო ამბავი: ახალი ფალავნის პაპას სოფელ გოსტიბეში (თეძმის ხეობაში) ჰქონია საცხოვრისი და აქედან გადასახლებულა კოჯორში! ასე რომ, გურამ თუშიშვილი საჩვენოდაც უნდა ვიგულისხმოთ...

# ვეტერანი ჩოხას ჯერ არ იხდის

## კახა მამულაშვილი ფალავნობის მესამეადგილოსანია 80 კილოგრამის კატეგორიაში



2017 წლის ფალავნობაზე კასპელ მოჭიდავეთაგან წარმატებით იასპარეზა მეტეხელმა კახა მამულაშვილმა. მან 80 კილოგრამის წონის მოჭიდავეთა შორის პაექრობაში შეძლო მესამე საპრიზო ადგილის დაკავება.

სწორედ რომ შესაშური და მისაბაძია ვეტერანი მოჭიდავის სადღეისო შემართება (იგი დაბადებულია 1985 წლის 21 ოქტომბერს).

გილოცავთ!

# 24 წლის გოლიათი




მშობელი ერი ჯერაც 2016 წელს გააამაყა ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ოლიმპიური ჩემპიონობით. ახლაც, დეკემბრის დასაწყისში, ამერიკულ ანაჰაიმში დაადასტურა იოტისოდენა ეჭვის შეუტანლად, რომ ძალოსნობაში მსოფლიო ფიცარნაგის მეფე მხოლოდ იგია — ქართველი კაცი — ლაშა ტალახაძე (დაბადებულია ქ. საჩხერეში, 1993 წლის 2 ოქტომბერს.) ყოფილი ძალოსნის, კობა ტალახაძისა და მისი მეუღლის, ჟანა დონაძის, უფროსი ვაჟიშვილი ქართული გენის გამონათება და გაბრწყინებაა, სადღეისო ძნელბედობიდან გამოსვლის ფესვძლიერი ნერგია!

ის მხოლოდ ერთი ოჯახის შვილი და ერთი გვარის მტარებელია .... და საქართველოს სიამაყე. ისაა ახალგაზრდა რაინდი, რომელიც სრულიად ქვეყანას აძლევს ზნეკეთილ მაგალითს. ის ქართული სპორტის ახალი თაობის წარმომადგენელია, რომელიც გვიჩვენებს ქართველკაცობის ძალ-ღონის გამორჩეულობას და ამით მთელ დუნიას აოცებს, მისგან აღტაცებასა და აპლოდისმენტებს იღებს... ლაშა მხოლოდ შტანგას ემეტოქება, ირანელ-სომეხ-რუსნი მას ტოლს ვერ უდებენ. ის "რკინის კაცია", ანუ — კეთილშობილი "ოქროს" შემგროვებელი. იგი რეკორდების მჭედელი სპორტსმენი-ხელოვანია: ორი მსოფლიო დონის მიღწევაა მის ანგარიშზე: ატაცში — 220 კილოგრამი და ორჭიდის ჯამში — 477 (აკვრაში 257 კილოგრამი დაიმორჩილა)!.. ვფიქრობთ, სწორედ ლაშა ტალახაძე დასახელდება 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენად საქართველოში!

# მსოფლიოს თოვლის პაპა




სანტა კლაუსი - აშშ, კანადა,
ფადერ ქრისმას- გაერთიანებული სამეფო,
აგიოს ვასილის - საბერძნეთი,
ბაბო ნატალე - იტალია,
პაპა ნოელ - ესპანეთი,
პაი ნატალ - პორტუგალია,
იულინისენ - ნორვეგია,
ნიკოლაუს - გერმანია,
პელ ნოელ - საფრანგეთი,
იოულუპუკი - ფინეთი,
იულტომტენ - შვედეთი,
მიკულაშ - უნგრეთი,
ეჟიშეკ - სლოვაკეთი,
სვეტი მიკოლაი - პოლონეთი,
იოულუვანა - ესტონეთი,
დედა გრიზ - ბოსნია,
შახტა ბაბა - აზერბაიჯანი,
გაგანტ ბაბა - სომხეთი,
ბაბა ჩაღალოო - ავღანეთი,
იონგ გია ნიო-ენ - ვიეტნამი,
გუუსალეხ - ერაყი,
ბაბა ნოელ- ირანი.

# ... თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებსა და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით, ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ვინ მოხთვლის კიდევ რაზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

## კონკურსი



ტრადიციულად ახალი წლის დამდეგს ბავშვები საახალწლო სურვილებს მიგზავნიან, რომელთა ასრულება ჩემი ცხოვრების საქმეა. ამ საქმემ ბედნიერი სიბერე მარგუნა. ჩემს კოშკში მთელ წელს სადღესასწაულო დღეების მოლოდინში ვატარებ. პოდა, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ერთი საინტერესო აზრი დამებადა.

საახალწლო სურვილების კონკურსს ვაცხადებ. ყველაზე ორიგინალური სურვილი საგანგებოდ დაჯილდოვდება. ანუ, ცხადდება ყველაზე ორიგინალური სურვილის კონკურსი.

# წერილები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ასაკის, სქესის, განათლების და ოჯახური მდგომარეობის ადამიანს.

მე ვიცი, უფროსები ამაყობენ თავისი შვილების მოულოდნელად საინტერესო აზრებით. თავად უფროსები კი დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლიათ ყველაზე ორიგინალურად ჩაიცვან, იმოქმედონ, იცხოვრონ ... პა ბურთი და მოედანი!

წერილები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, მისამართზე: პლანეტა დედამიწა, ქვეყანა საქართველო, ქალაქი კასპი, გაზეთ "ახალი განთიადი-"ს რედაქცია, წერილი თოვლის პაპას, კონკურსისათვის "ყველაზე ორიგინალური."



“შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სახელიც”...

# ჭრილობაში ჩარჩენილი ტყვია

**კიდევ კარგი, სამშობლოს სიყვარული ჯიუტია და მძლეთამძლე, თორემ ნაგვიღებდა და გაგვაქრობდა ჭრილობაში ჩარჩენილი ტყვიები ... ტარიელ შარიფაშვილი იმ თაობის მკვეთრად გამოხატული წარმომადგენელი იყო ილიაზე ფიქრისას საქართველოზე რომ ფიქრობენ, ის, ვინც მატერიალური გაჭირვების გამო მხოლოდ საკუთარი, კერძო მომავლის გეგმებს არ აწყობდა, მან იცოდა და გრძნობდა რომ სულიერების აღორძინების გარეშე შეიძლება წინ წასვლა... მან და მისმა თაობამ იცოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფასიცა და მნიშვნელობაც. აკი ომის დაკარგული თაობაც შეარქვეს იმ დიდებულ პლეადას, უყოყმანოდ რომ შეეწირნენ საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.**

**რამდენმა თაობამ წაიღო საიქიოში დარდი საქართველოს დამოუკიდებლობის ვერ აღდგენის გამო. რამდენი დრო, ენერგია, თავდადება და სიცოცხლე შეეწირა ყველაზე მთავარის — თავისუფლების მოპოვების ყოვლისმომცველ სურვილს.**

**მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ღრმა იატაკქვეშეთში აერთიანებდა ნამდვილ ქართველებს, ყველაზე დიდ ოპტიმისტ პატრიოტსაც უჭირდა თავისუფალი საქართველოს წარმოდგენა. მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ერთი წუთითაც არ ტოვებდათ შიში, რომ დიდი იმპერიები ვერ დათმობდნენ „გემრიელ ლუკმას," ხოლო, როცა ბრძოლა იწყება, მრავალ დამნაშავეს შეიძლება უდანაშაულოც მიჰყვეს, დროში გავრცობილი ბრძოლა კი ყველაზე ძნელი მოსაგებია.**

**რამდენ მოლოდინს იტევდა საქართველოს დამოუკიდებლობა.**



მრავალთაგან განსხვავებით ტარიელ შარიფაშვილს ჰქონდა მტკიცე შეგნება იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსახურების ბევრი გზა არსებობს და თითოეული მთავარი და ერთადერთია.

მან იცოდა, რომ ბედნიერება არ არის ბევრი სახლი (ქალაქში, ზღვაზე, მთაში), ბარაქიანი საბანკო ანგარიშები (ურყევ ვალუტაში), გავლენიანი “მეგობრები,” საჩვენებელი კოლექციები: იარაღების, ძაღლების, ანკესების ... და საერთოდ, საჩვენებელი ცხოვრება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ყველაფერი არაბუნებრივი. მატერიალურ კეთილდღეობას ამოფარებული მედროვეები ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ მასთან თავს, თუმც რატომ? ამას ვერ ხვდებოდნენ. ისე კი ყველა სიკეთეს იმსახურებდა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობას, სამშობლოს მსახურება-სიყვარულს, ღირსეულ, ვაჟკაცურ ცხოვრებას გულისხმობდა და საერთოდ, ბუნებრივი იყო მოქმედებით, მსახურებით, პოზიციით.

პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან უყვარდა ისტორიული წიგნები მეფეებზე, რაინდებზე, ქართველების გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე — ეს რა ნამდვილი მხედართმთავარივით ლაპარაკობს მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იჯდა. გმირი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ის უკვე გამგებელი



იყო და ეს სინამდვილე განსხვავებულ ასპექტში გვაჩვენებდა მის სახეს.

მაშინ ნამდვილი ომი იყო უშუქობით, უგაზობით, უშაქრობით ... თუმც, პურს კასპიდან ეზიდებოდნენ გორში, ქარელში, ხაშურში. სახელმწიფო მეთაურის აპარატში, რომ გაიგეს კასპელი ვიყავი პირველი ეს მკითხეს - “კასპში მართლა თეთრი პური ცხვებაო? აქ დატვირთვა “მართლა თეთრზე” მოდიოდა ქვეტექსტი კი ასეთი გახლდათ “თეთრი პური თბილისში არა გვაქვს და თქვენ დედაქალაქზე კარგი პური გქონიათო?!”

რა შრომა, გარჯა და თავდადება უჯდებოდა ტარიელ შარიფაშვილს იმ პურით მომარაგება, მარტო მან იცოდა. ბატალიონსაც პატრონობდა, თუმც იმ დროს ის უფრო პოპულარული ამბავი იყო შარიფაშვილის ჯარისკაცები როგორ ვერ სარგებლობდნენ ომის კანონით და უალაფოდ ბრუნდებოდნენ სახლში.

შინაგანი დისციპლინით იგი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, მაგრამ შორს იყო ასკეტიზმისაგან. რამდენად უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს ყველას /ჩვენ ვინც ვიცნობდით მას პირადად/ პოეტურის გაგება შეეძლო, მაგრამ არ იყო კაეშანს მიცემული კაცი. იგი კეთილი, თავისი ხალხის წარსულით და ღირსეულ მხედართმთავართა ისტორიით დაინტერესებული და მოხიბლული ვაჟკაცი გახლდათ.

მან იცოდა გაზეთის ფასი, მნიშვნელობა, და მართლაც ღირსეულად ედგა გვერდში რედაქციას. გაზეთი





რომ გამოდის და სკოლაში სწავლა არ ჩერდება ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისო — ხშირად მომისმენია მისგან. იმ უშუქობაში გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა და როგორც სამხედრო ჟურნალისტებმა თქვეს მაშინდელი “განთიადის” მასალებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია უახლესი ისტორიის შენახვას. ტარიელ შარიფაშვილის თანადგომით გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციული შენიშვნები თუ ინტერვიუები დღეს უკვე ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტებია.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამგეობის შენობის წინ დაგვპირდა “- თუ არ მოვკვდი გაზეთის გავრცელების პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებო ...” — ისეთი მხნე იყო, ძლიერი, სიცოცხლით სავსე მის სიკვდილს როგორ წარმოვიდგენდით, როგორ ვიფიქრებდით, როგორ დავუშვებდით...

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, მისთვის საქართველოს ჯარისკაცობა პროფესია არ იყო, ჯარისკაცობა მისი ბედისწერა გახლდათ. მის გარშემო მყოფთ (ვინ იცის, ზოგმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო) გვიზიდავდა სიალალის განუმეორებელი ხიბლი. იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ყალბს, მოგონილს, ნიღაბისმიერ ურთიერთობებს, მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს, მართალს.

ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ უფერული და საშუალო მონაცემების სუბიექტთა მაღალ პიროვნებებად წარმოსახვა რომ შეგვიძლია ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხერხი უადგილოა. ტარიელ შარიფაშვილი ომის თაობის რეალური წარმომადგენელია, შესაბამისი სიმამაცით, უდრეკელობით, ტრაგიზმით. იგი იმ ქართველ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც განგება ფართო სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს, მათ კი შესწევთ ძალა თავი დააღწიონ იმ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციალიზმს უწოდებენ. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, უნდა სწორად გავიგოთ, რომ პროვინციალიზმში დასახლებულ პუნქტს კი არ ვგულისხმობთ, არამედ აზროვნების სტილსა და მანერას.

დარწმუნებული ვართ, ტარიელ შარიფაშვილის ხასიათის მრავალი საინტერესო რამ ჩვენთვის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩა და ახალი აღმოჩენებიც აღარ გველის, მაგრამ ერთი ფაქტია, ასეთი ვაჟკაცების სიკვდილით ძალიან ბევრი აკლდება ეროვნულ სულს. ... ტარიელი კი ჩაქრა ისე, როგორც დელგმაში გატანილი ჩირაღდანი.

**ნანა მერებაშვილი.**

# თამადის ინსტიტუტი ქართულ ეთნოკულტურულ ყოფაში



დასასრული (იგულისხმება ღმერთმა), ადამიანის მიერ მეორე ადამიანის დალოცვის უმშვენიერესი ფორმაა.

საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში, სადაც ქრისტიანული რიტუალები წარმართულთან იყო აღრეული, პიროვნება, რომელიც ხუცესისა და ქურუმის ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენდა, რელიგიურ რიტუალსაც წარმართავდა (იგი უცნაურად ითავსებდა სახეშეცვლილ ქრისტიანულ ლოცვას და ცხოველის დაკვლასაც კი) და მის შემდეგ გამართულ ნადიმსაც უძღვებოდა, ანუ თამადობდა. ასეთი რიტუალები, რამდენადმე გამარტივებული სახით, დღესაცაა შემორჩენილი ფშავსა და ხევსურეთში.

ძველ ქართულ ლიტერატურასა თუ ისტორიულ წყაროებში, სიტყვა თამადა, ვიდრე XIX საუკუნემდე, არ გვხვდება. არც ერთ-ერთ პირველ ქართულ ლექსიკონში, სულხან-საბას "სიტყვის კონაში" იხსენიება. მის



წარმოშობას მონათესავე სიტყვებს "თავადს" და "თამამს" უკავშირებენ. თავადი თავ კაცს, წინამძღოლს ნიშნავს და ქართულ ენაში უმაღლესი არისტოკრატული ფენის წარმომადგენელთა აღმნიშვნელად დამკვიდრდა. ძველ ქართულ სახარებაში ხშირად, უფლისა ჩვენის, იესო ქრისტეს სინონიმადაა გამოყენებული... მეორე სავარაუდო სიტყვა "თამამი" კი, ლაღ, გამბედავ, ოდნავ კადნიერ, თავისუფალი ქცევის, რამდენადმე მოურიდებელი ადამიანის განსაზღვრებად იხმარება. ეს ორივე სიტყვა, ეტიმოლოგიურად, სავსებით შესაძლებელია, "თამადის" წინაპარი იყოს.

ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის შემდეგ ქართველთათვის ღვინო —ნადიმის უმთავრესი ატრიბუტი, ყოველთვის ატარებდა იდუმალ დანიშნულებას. ღვინის მირთმევის განკარგვა კი განსაკუთრებული შინაარსის მისიაა. ვინც ხელმძღვანელობს ღვინის სმას, სწორედ იგია მთავარი დამლოცველი და ლოცვისა და მოლხენის ეს საუცხოო მისტერია სწორედ თამადამ — ღირსეულთა შორის ღირსეულმა —უნდა შეასრულოს. იგი უნდა იყოს როგორც სულიერი, ასევე ყოფითი პროცესების წარმმართველი, ნამდვილი თავკაცი და "სტუმარი ღვთისაა"-ს უპირველესი ქურუმი.

არქანჯელო ლამბერტის, იტალიელ მისიონერს, რომელმაც საქართველოში XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმოგზაურა, ფრიად გაჰკვირვებია ქართველების სუფრასთან დიდხანს სხდომის წესი. მისიონერი მეგრელთა ნადიმს აღწერს და ამბობს, ეს დრო ისე გაიწელება ხოლმე, რომ გეგონება, დასასრული აღარ ექნებაო. საინტერესოა, რომ ლამბერტი, რომელიც ყველაფერზე შესაშური დაწვრილებით მოგვითხრობს, არ ახსენებს თამადას — როგორც ასეთს. მისი აღწერილობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამადის ფუნქცია XVII საუკუნის საქართველოში მასპინძელს ჰქონდა აღებული საკუთარ თავზე და ლხინის თავკაცის არჩევის დემოკრატიული ინსტიტუტი უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა. როგორც მისიონერი გვიყვება, მასპინძელი ხშირად ფეხზე მდგომარე იძლევა განკარგულებებს, რათა სტუმრებს მერიქიფე (ღვინის მომწოდებელი) და მატრიალებელნი (კერძების მომრთმევნი) ღირსეულად ემსახურონ. მისიონერი იმასაც ხაზგასმით აღწერს, თუ როგორი განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა სუფრასთან მასპინძელი (ანუ თამადა) და, საზოგადოდ, ქართველი ადამიანი უცხოელ სტუმრებს. ქეიფის დროს სუფრის თავკაცი ყველას პატივს მიაგებს მათი ღირსებისა და წოდების კვალობაზე.

ეთნოლოგთა აზრით, თამადის ინსტიტუტის საბოლოო ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, მასპინძელი თვითონ ირჩევდა ლხინის მიმდინარეობის წარმმართველ ადამიანს, ასეთ დროს ოჯახის უფროსი ნებაყოფლობით თმობდა პოზიციებს, რადგან სუფრასთან უკვე თამადაა უფროსი და ყველა მის ნებას ემორჩილება. ხოლო შემდგომ პერიოდში XIX საუკუნის ბოლოს, ეს წესი ნაწილობრივ შეიცვალა. ზოგჯერ სუფრის წევრები ავალებდნენ ნადიმის გაძღოლას ყველასათვის მისაღებ, სასურველ პიროვნებას. თამადობა მუდამ წილად ხვდებოდა არტისტულ, გონებამახვილ, დარბაისელ კაცს, რომელსაც თრობა გარეგნულ იერ-სახეს და ქცევას არ



უცვლის. ეს წესი დღესაც გარდუვალად მოქმედებს თანამედროვე ქართველთა ყოფაში და, როგორც სამკაციან ტრაპეზს, ასევე ასეულობით სტუმრით დამშვენებულ ნადიმს ყოველთვის ჰყავს წინამძღოლი. იგი ძალიან რთულ სამუშაოს ასრულებს — დგამს სანახაობას,სადაც ადამიანებმა საკუთარი თავი უნადა გამოავლინონ, ადგენს სადღეგრძელოების, სიმღერის, ცეკვის, სუფრის წევრთა მჭევრმეტყველების თანმიმდევრობას.

თამადის ნიჭიერებისა და ძალისხმევის წყალობით ქეიფის დროს ადამიანური ენერგიების არნახული, ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს.. თამადა ამ ენერგიებს კრებს და ერთიან საზოგადო სიკეთედ და სიხარულად გარდაქმნის. ეს პროცესი საზღაურია მის მიერ გაწეული შრომისა, რადგან თამადა თავადაც განიცდის მორალურ კმაყოფილებას სიყვარულის ნიშნით წარმართული სუფრის გამო და მისი, როგორც ნადიმის უმთავრესი შემოქმედის ამბიციებიც დაკმაყოფილებულია. როგორც წესი, თამადა არა მხოლოდ ოჯახის კარგად მცნობი და კეთილისმყოფელი უნდა იყოს, არამედ ადამიანის ბუნების ღრმად მჭვრეტი და, რამდენადმე ფსიქოთერაპევტის უნარებით აღჭურვილიც. შეკრებილ საზოგადოებაში მან არავინ უნდა დატოვოს ყურადღების გარეშე და ყველას მისცეს თვითგამოხატვის საშუალება.

ევროპაში გადასახლებული ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც არაერთი ესე მიუძღვნა ქართველთა ეთნოკულტურულ ყოფას, მართებულად ამჩნევს ჩვენში ღრმად დაფარულ მისწრაფებას პირველობისაკენ და იმასაც, რომ ეს მისწრაფება განსაკუთრებით ლხინის დროს ვლინდება. "ქართულ ნადიმზე ყველა პირველია." — აღნიშნავს მწერალი და იქვე დასძენს, რომ სწორედ თამადამ უნდა გამოავლინოს კაცის პირველობა. ზოგი საუკეთესო მროკავი ანუ მოცეკვავეა, ზოგი მომღერალი, მორკინალი, მჭევრმეტყველი თუ მოშაირე. თუ ადამიანი, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულია, თამადამ რაღაც მაინც უნდა იპოვოს მასში, რითაც ეს ადამიანი თავს მოიწონებს — ერთგულება, სიმამაცე, გაბედულება და ა.შ. თამადამ, რომელსაც უპირველესად, პრომეთეული საფრთხის დაძლევა აკისრია, უნდა შექმნას ადამიანთა თანაარსებობის ერთიანი, პოლიფონიური სურათი და ამით დაამარცხოს ქართველთათვის დამახასიათებელი ყველაზე დიდი საშიშროება — მისწრაფება განკერძოების, განაპირებისა და გათიშვისაკენ.

თამადის მიერ დადგმული სანახაობრივი სპექტაკლი მისი მხრიდან ერთგვარი მბრძანებლობის ტონალობებს შეიცავს. XXI საუკუნის დასაწყისისთვის ამ ტონალობებმა გარკვეული ირონიზაცია შეიძინა და უფრო მბრძანებლობანას თამაშს დაემსგავსა. თუმცა თამაშის წარმოებაზე უკვე არსებობს ერთიანი სოციალური შეთანხმება. სუფრაზე მას ემორჩილებიან და მისგანაც მმართველობის უნარის გამოვლენას ელიან, ოღონდ, ისევ და ისევ, თამაშის წესების ფარგლებში. ყველაზე დიდი იმედგაცრუება სუფრასთან მსხდომთათვის სწორედ უხეირო თამადის გვერდით ყოფნაა.

ზოგჯერ თამადის მიერ წარმოჩენილ ადამიანთა მრავალსახოვნება ხშირად ისეთი საინტერესო და მოულოდნელი ხდება, რომ ქართველთა ქეიფი ნამდვილი აღმოჩენების ადგილად იქცევა ხოლმე, რადგან ნიჭიერად წარმოთქმული სადღეგრძელოს შემდეგ, კარგად ნაცნობი ადამიანიც კი, შესაძლოა სრულიად ახალი, უცნობი შტრიხებით გაბრწყინდეს. ამ ყველაფერს კი დიდი ოსტატობა, კაცთმოყვარეობა და გულწრფელობა სჭირდება. აღმოსავლელი ბრძენისა და მოგვის სულ მცირე ნაწილი მაინც უნდა ღვიოდეს შენში, რომ ისეთი სადღეგრძელო წარმოთქვა, რომელიც ადამიანს აბედნიერებს — არა ტანჯვის, არამედ სიამოვნების გზით, კათარზისს განაცდევინებს.

რაკი ქართული კულტურა დიონისური, ანუ მოძრავი ფენომენია, თამადას კიდევ ერთი დელიკატური და საკმაოდ ძნელადშესასრულებელი მოვალეობაც აქვს — მან უნდა მოახერხოს, რომ ბახუსურ საწყისებზე აღმოცენებული ნადიმი მხოლოდ ლხინად დარჩეს და ბაქანალიაში არ გადაიზარდოს, რის საშიშროებამაც განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა XX საუკუნის საქართველოში.

მკვლევართა შორის არსებობს მოსაზრება, რომ თამადის ინსტიტუტის ამ სახით ჩამოყალიბება ქართველების მონარქიაზე ნოსტალგია და მეფის მონატრების დაკმაყოფილებაა — მცირე მასშტაბში განხორციელებული. სუფრა — ლოკალური კულტურული სივრცეა, სადაც თამადა ცდილობს დაამკვიდროს მორალური და ზნეობრივი ფასეულობები, განახორციელოს ადამიანური ყოფის იდეალური მინი-მოდელი. ოღონდ, თანდათანობით, თამადის შინაარსი კარგავს დამახასიათებელ პათოსს, ნელ-ნელა ხდება მისი დესაკრალიზაცია. იცვლება მოთხოვნები. თანამედროვე თამადა ზოგჯერ უკვე თითქოს თავად თამაშობს პაროდიას საკუთარ თავზე და ამგვარი ირონიზაცია უფრო შემოქმედებითი, იუმორის უხვად შემცველი, და, შესაბამისად, წარმატებულია. ყოველ შემთხვევაში, ამ ინსტიტუტის შენარჩუნება ქართულ სივრცეში ჯერ-ჯერობით არანაირ უხერხულობას არ იწვევს და მასში მიმდინარე ცვლილებებიც, ალბათ, სოციალურ-კულტურულ ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ნაწილობრივ მაინც შეესაბამება.

მარინა ყიფშიძე

## გილოცავთ!

კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, სკოლამდელი და საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა პედაგოგს, თანამშრომელს გულითადად ვულოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს! ვუსურვებთ წინსვლასა და წარმატებას საქართველოს მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეში.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი).**



კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს თეა ხორბალაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წინსვლას.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი).**

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს საავტორო შემეცნებით-გასართობი მასალები.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

## გამოიწერეთ

## ახალი განთიადი!

ჩვენ შეგვიძლია დავიჯეროთ ევროპული აღმოსავლური, ამერიკული თუ მრავალი სხვა ჰოროსკოპის არსებობა-არ არსებობა, შეგვიძლა ჩავთვალოთ ხუმრობად, არასერიოზულობად, ცრურწმენად ... მაგრამ ის მაინც არსებობს...

ჩინური (აღმოსავლური) მთვარის ჰოროსკოპი - ეს არ არის მხოლოდ ჰოროსკოპი სუფთა სახით, არამედ ეს არის თავისებური ჟამთაღწერა, ლამაზი ლეგენდა, რომელიც იქმნებოდა 2637 ჩვ.წ. ჩვენს ერამდე, ვიდრე პირველ საუკუნემდე პერიოდში. მთვარის კალენდრის ჩვეულებრივი ციკლი წარმოადგენს 12 წელს.

მთვარის კალენდრის მთლიანი ციკლი წარმოადგენს 60 წელს.

## ლეგენდა, რომელიც იქმნებოდა 2637 წელი

ის შედგება ხუთი ციკლისგან და თითოეული ციკლი გრძელდება 12 წელს.

თითოეული 12 წლის კალენდარული ციკლი შემდგარია ძველი, ყველასთვის ცნობილი ლეგენდის მიხედვით. მასში ნათქვამია, რომ ბუდამ დედამიწიდან წასვლამდე მოიხმო ყველა ცხოველი. თუმცაღა მასთან მივიდა მხოლოდ 12. ბუდამ თითოეულ მათგანს მიანიჭა თითო წელი სამართავად. რიგითობა მინიჭებული იქნა იმის მიხედვით როგორი მიმდევრობითაც მასთან გამოცხადდნენ ცხოველები: ვირთხა, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი, ტახი.



ახალი წლის დადგომის დღეს არა აქვს მუდმივი თარიღი, როგორც მაგალითად პირველი იანვარია. აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ახალი წელი დგება ზამთრის ბუნიობიდან მეორე სავსემთვარობაზე. წლევანდელ შემთხვევაში 16 თებერვალს. ძაღლის წელი იქნება რამდენიმე დღით მოკლე და გაგრძელდება 2019 წლის 5 თებერვლამდე.

## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი„ იძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!

## გამოგვეხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნონ საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო.

2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო განადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გწყურით...

გააცანით თანარაიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ ეს გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი.

გამოგვეხმაურეთ!









შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

















რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76